საიდ. №70424/03
IR 1142204

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №69-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჯონსონ კონტროლს ჰიბრიდ ენდ რისაიქლინგ გმბჰ” (JOHNSON CONTROLS HYBRID AND RECYCLING GMBH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №69-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 თებრვლის №361/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც გამოსახულებით საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს (საიდ. №70424/03 IR 1142204) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „ვარტა მიკრობატერი გმბჰ“ (VARTA Microbattery GmbH) სახელზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჯონსონ კონტროლს ჰიბრიდ ენდ რისაიქლინგ გმბჰ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ზემოაღნიშნულ ნიშანს არ უნდა მიენიჭოს დაცვა საქართველოში, ვინაიდან იგი აღრევამდე მსგავსია აპელანტი კომპანიის **„ჯონსონ კონტროლს ჰიბრიდ ენდ რისაიქლინგ გმბჰ"** კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა , რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტში, (რეგ. N **23882,** რეგ. თარ. 14.08.2013) საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-9 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. აპელანტის პოზიციით, ვიზუალური თვალსაზრისით, როგორც განცხადებული, ასევე, რეგისტრირებული ნიშნების შემადგენელი ნაწილები წარმოადგენენ მსგავს გეომეტრიულ ფიგურებს, ძირითადად, სამკუთხედებს. განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ რეგისტრირებული ნიშნის ზედა ნაწილში მოთავსებული რომბის გამოსახულება, მაგრამ, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენენ ორგანზომილებიან გამოსახულებით ნიშნებს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ განცხადებული და რეგისტრირებული ნიშნები წარმოადგენენ ერთი და იმავე ფიგურის წინხედსა და აქსონომეტრიულ ნახაზს. აქედან გამომდინარე, რომბის გამოსახულების არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შესძინოს ნიშნებს ისეთი მკვეთრად გამოხატული განმასხვავებლობა, რომ არ გამოიწვიოს მათი აღრევა მომხმარებელში და აქედან გამომდინარე, გამოირიცხოს მისი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის მწარმოებლის მიმართ. ის ფაქტი, რომ განცხადებული ნიშანი შავ-თეთრია, ხოლო რეგისტრირებული ნიშანი - ფერადი, ასევე, არ არის ძლიერი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ მომხმარებელი შესძლებს ამ ნიშნების ერთმანეთისაგან განსხვავებას იმის გამო, რომ საკმაოდ ხშირად მწარმოებელი უფრო ზოგადი და ფართო დაცვის მიღების მიზნით რეგისტრაციაში ატარებს შავ-თეთრ გამოსახულებას, თუმცა ხშირად იყენებს ნიშნის ფერად ვარიანტს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე თანდართული ამონაწერით კომპანიის

„VARTA Microbattery GmbH“ ვებ გვერდიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 თებრვლის №361/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც გამოსახულებით საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს (საიდ. №70424/03 IR 1142204) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „ვარტა მიკრობატერი გმბჰ“ (VARTA Microbattery GmbH) სახელზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (საიდ. N70424/03; IR 1142204) და დაპირისპირებული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (რეგ. N23882) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად. როგორც განცხადებული, ისე აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი შედგება მხოლოდ გამოსახულებისაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულება შესრულებულია შავ-თეთრ ფერებში, კერძოდ, შავი ფერის კვადრატში მოთავსებულია თეთრი სამკუთხედი. იგი წარმოადგენს ორგანზომილებიან გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი შედგება ფერადი გამოსახულებისაგან, კერძოდ, ცისფერი ფერის ექვსკუთხედში, რომელიც კრისტალის ფორმისაა, მოთავსებულია ყვითელი ფერის გეომეტრიული ფიგურა, რომელიც ოთხი კუთხისაგან შედგება. მართალია დაპირიპირებული

სასაქონლო ნიშნის გამოსახულება ორგანზობილებიანია, მაგრამ მისი ვიზუალური მხარე გარკვეულწილად სამგანზომილებიანი გამოსახულების შთაბეჭდილებას ტოვებს. აქედან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეგია თვლის, რომ არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N70424/03; IR 1142204) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯონსონ კონტროლს ჰიბრიდ ენდ რისაიქლინგ გმბჰ" (JOHNSON CONTROLS HYBRID AND RECYCLING GMBH) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 თებერვლის №361/03 ბრძანება გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №70424/03, IR 1142204) დაცვის მინიჭების შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ქ. კილაძე
წევრები:	ს. დუმბაძე
	დ. ჭიჭინაძე